

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხ-კურთხათვის ადრესი: Тифлиси, ред. „Дრობა“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცაქე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უცნაურული სტრიქონი
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ ხაჭირთა მოთხოვნა, რედაქცია გააჩინებს და შეამოკ-
ლებს დახმარებად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდელ წერი-
ლებს რედაქცია კარ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

შინაური ქრონიკა

ღე ისე არ გავა, რომ რამდენიმე ამბავი არ გავიგოთ «მეზასტავეების» უწყსო მოქმედებისა და ამ დაწესებულებათაგან ხალხის შეწუხებისა. ამ დღეებში ერთი მგზავრი მი-
ლიოდა თურმე საეურაოდამ მცხეთას და ნახევარ-ვერსის მანძილზედ მოსე-
ზედ გავლის შემდეგ, გადუხვია, რომ მცხეთას წასულიყო. მეზასტავეებს დაენახათ ეს, და თუმცა ზასტავამდე ჯერ კიდევ კარგა გზა ყოფილიყო გასავლელი, გამოსდგომოდენ მგზავრს და მოეთხოვათ მოსეს ფული შას-
ნაურიდამ. ძანონით, თუ მგზავრი ზასტავაზე მისვლამდე მოსეს სრუ-
ლიად თავს დაანებებს, არ იხდის მოსეს ფულს. მგზავრი ამ წესის ძალით გაჭირვეულებულიყო და ფული არ მიეცა. რომ აღარ ჩამოხსნოდენ მე-
ზასტავეები, მაშინ აღეთქვა მიცემა, მხოლოდ წიგნში ჩასწერეთ, რომ შა-
სანაურიდამ მოსეს ფული აიღეთ, თუმცა მე ზასტავამდე არ მოვსულ-
ვარო. მეზასტავეებს ეს არ ეკისრათ და მგზავრიც გადარჩენილიყო ფულის გაღებას.

ძარგი კიდევ გაგებულნი მგზავრი შეხვდათ და თავი არ დაჩაგვრინა, რა უნდა ჰქნას ჩვენმა უსიტყვო და გაუგებელმა გლეხ-კაცმა, როცა ამის-
თანა ჩასაფრებულ დარაჯებს გადაე-
კიდება!

სიონში მოსიარულე მლოცვე-
ნი შემოგვიჩივან, რომ სასოება წარ-
თმეული გვაქვს იმ ურიცხვი გლახე-
ბის თხოვნისაგან, რომელნიც ყოველ-
თვის ამ ეკლესიის კიბეზე ჩამწკრივე-
ბულნი სხედან და შემსვლელ-გამომსე-
ლელს ღიჭინით საქმეს უჭირებენო. მკლესიის კარებზედ თხოვნის ნების მიცემას ის ემჯობინებოდა, რომ იქვე სადმე ყუთი დაედგათ ღარიბებისათვის და მსურველს თავის წვლილი ამ ყუთ-
ში ჩაეგდო.

ჩითახოვის სახლის ერთი მდგმუ-
რისაგან შემდეგი წერილი მოგვივი-
და: «ხლა, როდესაც ყველა სახელ-
მწიფოში სისუფთავისთვის მთელს მი-
ლიონებსა ხარჯავენ სხვა-და-სხვა გე-
რის ავადმყოფობის და ჭირის ასაცი-
ლებლად, აქ—თბილისში, ბოლო-
ვინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახ-
ლებში ისეთი უსუფთაობა და ბინძუ-
რობა სუფევს, რომ დგომა არ შეიძ-
ლება. მდგმურები სარეცხის და სხვა
ათას გვარს მურალ წყალს ეზოში
აქცევენ, რის გამოც ისეთი საშინელი
სულის-შემბნუთავი ჰაერი დგას, რომ
კაცი ცხვირის დაუცობლად ვერ გაიფ-
ლის. მკანებ დიდი ხანია გამოცხადე-
ბული, რომ ვინც სარეცხის ან სხვა
რომელიმე ჭუჭყიანს წყალს გადააქ-
ცევს ეზოში, ოც-და ხუთი მანათი ჯა-
რიმა გადახდება; მაგრამ, როგორც
ეტუობა, ჩითახოვის მდგმურები ამას
ყურადღებას არ აქცევენ. ამას დაუ-
მატეთ ის, რომ ფეხის-ალაგებს

არა სწმენდავენ, იქვე იპყრის ლი-
ტოგრაფიულად წამლიან წყალს აქცე-
ვენ ეზოში და ბუღეარის მდელქნე
ბაყლები აყროლებულს დამალს ხილს
ამავე ეზოს სანაგვეში ჰყრიან, იმ ეზო-
სი, სადაც წელიწადში ერთხელ ნიაგი
არ მოხდება, რადგანაც ოთხ-კუთ-
ხივ სახლებით არის გარშემორტყმული
და ღია თავისუფალი ალაგი არა აქვს
ჰაერის სამუშაოდ.

მიკვირს, როგორ არ მიაქცია აქამ-
დის ამას პოლიციამ ყურადღება და
ან ვისი მოვალეობაც არის. ღვესე-
ულდებით, სხვა არა იყოს-რა »

თბილისის ოლქის სასამართ-
ლოს ნება-დართვით თბილისის ნო-
ტარიუსის კანტორები ივლისის 11-დამ
გაღებულნი იქნებიან დილის 9 სა-
თიდან შუა დღის 3 საათამდე; სალა-
მოთი მუშაობა იმავე რიცხვიდამ აღარ
იქნება.

ჩვეულებრივ ორ კლასიანი სა-
ვაყო სასწავლებელნი სახალხო განათ-
ლების სამინისტროს უწყებისა უფრო
ხშირად ფუნდებიან იმ ადგილებში,
სადაც მცხოვრებნი საქმაოდ არიან და
ვაჭრობა და მრეწველობა სწარმოებს.
ამისთანა ადგილების სიახლოვეს მდ-
ბარე სოფლები სიღარიბის გამო მოკ-
ლებულნი არიან თავიანთი შეილები
სამინისტროს ორ კლასიან სასწავლე-
ბელში მიზარონ. ამას გარდა წესდ-
ბის ძალით ამისთანა სკოლებში მოს-
წავლეთ შეუძლიანთ ხელობაც ისწა-
ფანში გაიარა. ბებერს დაეწყებია
მუფტა და ბეწვის საყელო! მერმე ქალ-
ბატონმა ხელ მეორედ გადახლებინა.
ჩემთვის ხომ არ გამოიმეტებდა! ლა-
პარაკში თან იზინჯამდა თავის მხრებ-
ზედ საყელოს და მუფტას—იმ გამოშ-
ტერებულს ბებერს აღარც კი მოგო-
ნებია ეს მშვენიერი ნივთები.

ლონ, თუმცა სახელოსნოები ყველა
სკოლებში არ არის შემოღებული.
შხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ძაე-
კასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნ-
ველმა გამოაცხადა სურვილი დაარს-
დეს აქაური ოლქის ორ-კლასიან
სასწავლებელში ჰანსიობი 20—25
ყმაწვილისათვის. სახალხო სკოლე-
ბის ღირებულებებმა ამას გარდა უნდა
წარმოადგინონ თავიანთი აზრი მას-
ზედ, თუ რა პირობათა შორის შეიძ-
ლება სახელოსნოების შემოღება და
და რის სახელოსნოები უფრო საჭი-
რონი არიან რომელსამე სკოლაში.
ზანზრახვა აქეთ ხელობის სწავლება
შემოიღონ საქალაქო ოთხ-კლასიან
სასწავლებლებშიაც, რომელნიც სა-
ხალხო განათლების სამინისტროს უწყე-
ბას ემორჩილებიან. სასურველია, რომ
ბ-ნი მზრუნველის აზრი რაც შეიძლე-
ბა მალე განხორციელდეს. (ქავე.)

ზაზეთს «ძაეკას» ატყობინე-
ბენ, რომ თბილისის ქალაქის საავად-
მყოფოს საქალბო განყოფილებაში
მომეღელი ქალები ძალიან ცუდად
იქცევიანო. მომეღელნი თავიანთ ად-
გილზედ ყოველთვის არ იმყოფებიან
და ავადმყოფებს ყურის მდებელი
არაეინა ჰყავთ. მაგალითად ამას წი-
ნად ერთი ქალი მივიდა ავადმყოფის
სანახავად და მის თვალწინ შემდეგი
შემთხვევა მოხდა: ერთს ავადმყოფს
ქალს კრაოტზედ წამოჯდომა უნდო-
და და როდესაც წამოიწია, ძირს ჩა-
მოვარდა და ვინ იცის რამდენს

მკათათვე



მკათათვე დღეა, სამოცი-
ხმელის ვანა სძკალი,
სიღნასა ღული ტრიაღებს,
მუშს მტანჯვადი ტრიაღი

ბიჭები ძეიან ვანასა,
ჩამგლებს გუჟდას ჟღრიაღი,
ჭაურა აღარ მამარაბს,
არ ისმის ფოთაღთ შრიაღი.

სამგლისა შინსა შანტის ქვეშ
დარბაან გოგო-ბიჭები,
ღორსობა დაურია ჭაღის შინსა,
სიღნით შეჭკრიათ კრიაღები.

ასსად სხანს კაცის კრთგული
ქოფაქა ძაღლი თოღაა,
ჩირკეს ქვეშ წამოწოღიღა,
სადაც რომ რბიღი მოღაა.

მუშა იმასას „ჭოშუნას,
გადგუღაით გუჟები,
ეანის მკას მჭკრივად მისდკენ,
ვით კრთად გადამუჟები.

მზემ გაღისარა, ზგრაღდა,
მიწქარდა სამგლის ტრიაღი,
ფრინჯულთა მორთქს ჯაღობა,
ფოთაღებშიც იწეეს შრიაღი.

შის ბრუნდებან მუშები
სიძღურას გაქქეს გრიაღი.
ძნათ დაღებულმა ურძებმა
უსაშინოთ მორთქს ჭრიაღი.

მოღიან გოგო-ბიჭებიც,
უჟან მოსდგეკს სხარტესა,
თოღააც თავის თეთრ კუღას
მოღის და მოაჭროღებსა.

მკათათვის 5-ს. **ი. დ.**

ბეელი მყოვტა

მოთხრობა უფლი რიშარისა.
(შემდეგი *)

— ბი! შეხედე, უთხრა მეორე
დღეს გოგომ ბიჭსა, როდესაც ღერე-

*) იხილე „დროება“ № 147.

— რა ფუყოთ, ჩემო საყვარელო,
მე მოვალ ლოყაში, პირველი მოქმე-
დება რომ ვათავდება.
ამის შემდეგ რაღას აუხირდებოდა.
სადილს უჟან ტებომ მოუკიდა სი-
გარას და გასწია მადღენას სახლისა-
კენ მეხუთე ეტაჟაში. ბებერი ქალი
თუმცა სამოც-და-ათის წლისა გახდა,
მაგრამ შრომის მოყვარე იყო და სახ-
ლი ძალიან სუფთად ჰქონდა დალა-
გებული. ამის სადგურს შეადგენდა
ორი ოთახი. მართი ღერეფანი იყო და
სამზარეულოთაც ხმარობდა, მეორე
კი—სადაც მადღენას ეძინა, საქმობ-
და და ატარებდა თავის მყუდრო
ცხოვრებას, პატარა ოთახი იყო. ამ
სადგომში იგი წელიწადში სამოც
ფრანკს აძლევდა.

ბებო სიამაუნებით უცქეროდა ამ
პატარა ოთახს და მის ერთს ფანჯა-
რას, რომელსაც ეფარა თეთრი მიტკ-
ლის ფარდა წითელი ფარით მოვლებუ-
ლი. ძველი ხის დივანი, ჩვეულებრივი
რაკა-რუკი ოფოფიანი საათისა ბუხარზე,
ქალაღლის ყველივები აღებასტრის ვა-
ზებში, უგემურად მოკიდებული ორი
ნუგუზალი, — შეადგენდა ამ ქალის სახ-

— შათუოდ ჩვენი ნათესავი ბებე-
რი ავად არის.
— ხვალ გავზაენი მოსაკითხვად,
უპასუხა ცოლმა.
— არა, მე თითონ სალამოზე შე-
ვალ მასთან.
— ღღეს რომ ჩვენი აზონიმენტი
არის ოპერაში, უპასუხა ცოლმა.

ხან სეგდებოდა იატაკზედ, თუ რომ მიმსვლელს ქალს თვითონ არ მოეძებნა მომვლელი ქალები, რომელნიც საავადმყოფოს ეზოს კარების წინ დასერიანობდნენ. როგორც ავადმყოფები ამბობენ, ამისთანა შემთხვევა ხშირად ხდებდა და ავადმყოფი ქალები მომვლელი ქალების უგულო ქცევას ისე შეჩვეულნი არიან, რომ ცდილობენ უმთავრესად იოლად წავიდნენ. იმასაც ამბობენ, რომ მოსამსახურე ქალები ავადმყოფებზედ ხანდისხან ძალასაც ხმარობდნენ და მხოლოდ იმ ავადმყოფებს ექცევიან კარგად, რომელთაც შეუძლიანთ «მადლობის» გადახდა. ნუ დაიფიქრებთ, რომ საავადმყოფოში მომეტებული უფრო ღარიბები შედიან მოსარჩენად. იმედი გვაქვს, რომ საავადმყოფოს გამგებელნი ყურადღებას მიაქცივენ ამ ჩვენს შენიშვნას და ეცდებიან გააუმჯობესონ ავადმყოფების მოვლის წესი.

ხვა ახალ-აღმავალ უღაბოდა

სურათი ახალ-აღმავალი ქვეყნისა. — რაც საქორთა გვაქვს და რაც არაა რად გვინდა? — ექიმი. — სკოლები. — ტამოქნა. — თორმეტი ვირი და ბზები. — კეთილ-შობილური გაცარცვა. — შერე-შეტიევის მოძახება. — ხალხს თხოვნა რად დაზარდა? — მომრიგებელი მოსამართლე საქორთა ართვინში თუ არა? — წერილის ბოლო.

ჩვენს თქვენსავით გავხდით, მკითხველო, ბედნიერის ქვეყნისა: სიძვირე, უკულობა, ვაჭრობის და ზნეობის დაცემა, ავ-კაცობით ამაღლება — ბრძოლა დღიური ლუქმის შოვნისათვის, რა გზითაც შეიძლება — აი ჩვენი ყოველ-დღიური მოვლენა! რა ვიცი, იქნება ბედნიერი ვიყოთ და ჩვენ ვერა ვგრძნობდეთ? ძაცის თვალი, ხომ მოგვხსენებთ, გაუმაძღარია,

ლის მორთულობას და სასიამოვნოს არაფერს წარმოადგენდა. მაგრამ მადლენას კი ეტყობოდა სახეზედ, რომ კმაყოფილი იყო ამით, განსაკუთრებით უფრო მაშინ სიამოვნებდა, როდესაც ბუნებრივად იჯდა ხოლმე და დამვიდებით შესცქეროდა ცეცხლს. ამ დროს ვისაც უნდა შეეხებოდა მადლენასათვის, ისიც კმაყოფილი დარჩებოდა მისი დამვიდებული ცხოვრებისა.

აბა მიაშვე მამიდა, — უთხრა ტებომ და ცდილობდა დაეფარა თავისი ღმობიერება; — რითი ხართ აგრე ვართული, რომ მთელი ოთხი დღეა აღარ გავივლიათ ჩვენსა? რა მიზეზია?

— ის მიზეზია, რომ ჩემი ბებერი მუხლები ყოველთვის აღარ მიჯერებენ, უპასუხა ბებერმა ქალმა: — ყმაწვილი აღარა ვარ და აქედან თქვენამდინ მოკლე გზა არ არის.

— აგრე მეტყობი წინაღვე მამიდა; ამას იქით ჩემი ცოლის კარეტას გამოგიგზავნით ხოლმე.

— მაგის გარდა თქვენს კარგს საქმელს ვერ იწყნარებს ჩემი კუჭი, გაჩახახებული ოთახისაგან თვალები

იქნება იმიტომ ვემდურით ჩვენს ბედს? მაგრამ რა გვაქვს? რა ვიქირს? რაც საქორთა, ყოველისფერი გვაქვს და გვაქვს — რაც არა, რად გვინდა? რა გვაქვს? — შერი, ბერი მღვდელი, ჩინოვნიკი, ბაზარნიკი, პრისტავი, ქალაქის თავი და ყველაფრის თავი; აქცი-ზი, ტამოქნა, ქურდი, ავაზაკი, ყანა, ჩალა, სახლი და კარი... მეტი რა გვაქვს? ექიმი? ექიმი კი, მართალია, არდნუჯში და შავშეთში არ არის; მერე რად გვინდა? — მანა ძენლია ბძანების დაწერა, რომ არაინ გახდეს და ავად არ გახდეს?! — არ არის — ალბად იმიტომ რომ არ გვინდა... ბზები? გზები ახლა კეთდება, და გვინდა; რომ არ ყოფილიყო, მაშინ საქორთა არ იქმნებოდა... მაზრისა და ოლქების უფროსების წყალობით, იმედი გვაქვს კაი გზა გვექნება. — მაშინ საქორთა იქნება. — ბათომიდამ არღანამდის, მართალია, დიდი ხანია ახალი ბილიკი კეთდება, მაგრამ ჯერ ჩვენ არ გვარგია, რადგან ეს საველი ჯერ ჯიბეთა უბნისკენ მიმავლობს. ღროთა ბრუნვის მიზეზით ეს გზა დაკარგეს გზათა უფროსებმა და შერე-მეტეივის მოძახების მიზეზით, ორას მუშა კაცამდის გავზანეს ამ გზის საძებნელად; ამ ორასი კაცის ბარ-ნიბებმა ძლიერს მიადგინეს ამ ბილიკს და ის ნაწილები მოიყვანეს რიგზე, სადაც უნდა გამოეყო შერემეტეის.

აქაურებს თურმე არა სცოდნიათ, რომ რაც საქორთა გვაქვს და რაც არა-არ გვინდა, თხოვნა მისცეს, რომ არდნუჯში სკოლა გავხსნათ — მთელი სოფლების და დაბის ხალხისათვის, როგორც მაშადაინებისა, ეგრეთვე ქრისტიანებისათვის; ოსმალის დროიდან დარჩენილი სკოლის სახლიც დაუთმეს ამ სამადლო საქმისათვის, მაგრამ, რადგან სხვებს კარგად სცოდნიათ, რომ რაც საქორთა გვაქვს და

მტკივა და ხალხის ხმაურობისაგან თავბრუ შეხვევა ღრო არის დასვენებისა.

— თქვენ როგორღაც აღრე გიფიქრნიათ დასვენებაზედ და ძალიან სწრაფათაც გინდათ ეგ განზრახვა შეასრულოთ, შენიშნა ტებომ იქვეულობით: — თქვენ აგრე განდევნილსავით არ უნდა იცხოვროთ. მე არ გიყაბულებთ.

— სწორედ მაგისთვის მინდა გადავხანლდე იმ სახლში, სადაც ბებრები სცხოვრებენ პენსიით. ძიდეც მომივილიან და იქ მყოფი ხალხი ხნით და აზრითაც ჩემთან თანასწორნი იქნებიან.

თუმცა ბევრი ეცადა ტებომ, მაგრამ მამიდასაგან სხვა ვერაფერი ვერა გავიგორა იმის მეტი, რომ იგი მოუძლურდა და სურს ბებრების პანსიონში ცხოვრება. ტებოს სურდა იქაც სამსახური გაეწია და კარგად თავისუფლად დაეძინა, მაგრამ მოხუცმა აქაც უარ-ჰყო მისი დახმარება და არწმუნებდა მას, რომ სემპერინე ში ისე იქნება კმაყოფილი და მოსვენებული, როგორც საკუთარ სახლში.

რაც არა-არ გვინდა, იმიტომ ამ საქმისათვის ათასი ყურები და კულები მოუბავთ: ესაო, სახლიც უნდა მისცეთო, მოსამსახურეც; სხვა ხარჯების გარდა, ამდენი და ამდენი საბალო მიწაც სკოლის ახლოა. ეს განლაგება კაბინეთში მჯდომის კაცის მადა, ნუ გიკვირთ, ალბად მაგათ არა სცოდნიათ აქაურობა, ალბად მაგათ ჰგონიათ — ეს ქვეყანა ისე ვაყ და სწორე იქოს, როგორც მათი საწერი მწვანე მაუღით გაკრული სტოლი. აბა რა იციან, რომ აქ ერთი მტკველი მიწა ერთ ოქროთა ღირს და ამწვანებული მინდვრების მაგიერად — ქვა-კლდოვანი მაღალი მთები და ღრმა ღეღეღებია! მაგათ მარტო ის იციან, რაც საქორთა გვაქვსო, რაც არა — არ გინდათო...

აი ძიდეც სწორედ ნაყოფი ბრძენთა კაცთა გონებისა? ეს განლაგება საშუალება მშვიდობიანობის დამყარებისა კაცთა შორის. მოგახსენებთ: ართვინი ბათომიდამ — ასი ვერსია, არდნუჯი ართვინიდან ორმოცდა ორი, შავშეთი არდნუჯიდან ორმოცდა ხუთი. და აი ამ ბედნიერი ქვეყნისათვის (ართვინისა არდნუჯისა და შავშეთისათვის) გაძვირდა მომრიგებელი მოსამართლე. ვისაც დაეა და ჩხუბი აქვს — თუ ორასი ვერსის გავლა არ ეზარება, ბათუმში ჩაბძანდება, თუ არა და ძალაუფლებურად უნდა შეურიგდეს მოწინააღმდეგეს. ეს არის საშუალება მშვიდობის დამყარებისა კაცთა შორის. ამ მიზეზით დიდი მშვიდობია ნობა განლაგეს ჩვენში. ძიდეც რომ მადა ჰქონდეს კაცს ჩხუბის ან ავადმყოფობისა, ვერ გაბედავს: ავად ვერ გახდება, რადგან ექიმი არ განლაგეს, ჩხუბს ვერ მოახდენს, რადგან მამრიგებელი მოსამართლე არარის; ალბად ბ. შერემეტეივი ყოველიფერს რიგზედ ნახვდა...

ნებული, როგორც საკუთარ სახლში.

ლოქაში შესვლის უმაღლეს ტებომ ჰკითხა თავის ცოლს მიზეზი მადლენას ფეხის ამოკვეთისა, მაგრამ ტებოს ცოლმა არავითარი მიზეზი არ იცოდა, პირ-იქით, მას კარგად ახსოვდა კიდეც რა რიგი მადლობელი წავიდა მოხუცი უკანასკნელად მუფტისა და საყელოს ჩუქებისათვის.

— მადლობა, ჩემო საყვარელო, ჩემის მოხუცის მამიდის ყურადღებისათვის, რომელიც ნამდვილად ღირსია ჩვენის პატივის-ცემისა.

— ოჰ, თუ ღერთი გწამს მაგდენს მადლობას ნუ მეუბნები, სიტყვა ჩამოართვა ცოლმა სიცილით: — სწორე გითხრა არა ღირს მადლობის თქმად გამონაცვლების ჩუქება, რომელთაც მე აღარ ვინმარბდი.

— როგორ! შენ აჩუქე მადლენას გამონაცვლები?

— იმ ხანში ძველი ახლად ეჩვენება, — უპასუხა ყმაწვილმა ქალმა მხიარულის ხარხარით.

ტებოს უნდოდა მრისხანე პასუხის მიცემა ცოლისათვის, მაგრამ იმ დროს

ამას გარდა, კაცმა რომ მოინდო მოს თავისი ბრალის დასაბუთება, ტებომ ამას იზამს. მიზეზი? მადლენის ბრძენთა გონების ნაყოფი... ბათომის მომრიგებელი სასამართლო არ დაგიჯერებს, იქნება წრფელი გულით არ აღვიარებსო, მაინც დაიბარებს მოწმებს და იმ ორასი ვერსის გავლის ხარჯს გადაგხდევინებს. ამის მაგალითიც იყო: აქაური ვიღაც სარუხანოვის ხელში დაიჭირეს ორი ოკა, თუ სამი ოკა თამბაქო, თავისი საკუთარი პლანტაციისა. ძაცი ავადმყოფი ჩავიდა ბათუმში და თავის თავზედ მიიღო ბრალი. მოწმები რაღა საქორთა იყო? არა, მაინც საქმე გადადეს, მოწმები დაიბარეს, მაგრამ არ დასცალდა. ბ. სარუხანოვი საიქიოს წავიდა სიმართლის საძებნელად და მით ვადარჩა მოწმების გზის ხარჯს...

ეს მომრიგებელი სასამართლო ხომ კარგია, მაგრამ ტამოქნა უფრო უყვითესია. ნაყოფი ამ მოხელეების გონებისა კიდეც უფრო შესანიშნავია. აი აქაური ერთი ვაჭარის ნაამბობი: «თამბაქო მიმქონდა რუსეთში. ბათუმში შევიძინე ერთი ხელი ახალი ტანისამოსი, რომ არა თქვან, ახალ აღებულ ქვეყნებში გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობს-თქო; თორმეტი მანეთი მივეცი. გემში რომ შევიდოდი, შემხვდა ერთ უ — სი, წამავლო ხელი, «კული იღოშ, ოსმანო», შემათრია. მე მცარცველი მეგონა. უწინ ასე უხდელად არ მოგვეცეოდნენ ხოლმე: მიშველეთ! ღაიყვირე, მადლიანი არავინ არის მეთქი. ჩინოვნიკებთან რომ შემიყვანა, მაშინ მივხედი, რომ ტამოქნაში ვარ. ტანთ, ღედი შობილათ, გამახდევინეს. ასწონეს ტანისამოსი, ოცდა ხუთი მანათი გადამახდევინეს და ისე გამოამისტუმრეს.

ეს არასფერი; ეს განლაგეს კეთილ-ორკესტრის აკორდებმა ფარდის გაწევის ნიშანი მოსცეს.

დადგა ანტრაქტი; ქმარმა ხელ-ახლად დაიწყო მამიდაზედ ლაპარაკი; ეტყობოდა ცოლის მხიარული სიცილი ლოდსავით დააწვა გულზედა.

— მე ჩემი ბრალი არის, რომ ვერ ავიხსენ მიზეზი რისთვისაცა ვარ პატივის-მცემელი ჩემი მოხუცი ნათესავისა; მე ვიცი იმის მოკრძალებული ხასიათი და მეწინააღმდეგე არ მეწყვინებინა იმ კეთილშობილურ გრძობისათვის, რის გამოც დარჩა იგი გაუთხოვარი. ღიად, მე დიდი დამნაშავე ვარ; მაშინ მე ავაცილებდი მას შენს გულ-გრილობას და დაცინვას.

ამის შემდეგ მან დაიწყო შემდეგი მოთხრობა:

(შემდეგი იქნება)

შობილური გაცარცვა — «ხაკონის» არა მცოდნე ხალხისა...

მს რა გიკვირსთ, შარშან ვიღაც მოგიტიქემ თორმეტი ვიროს საპალნე ბზე დაიჭირა «საპოლინიოა», ორი დღე ათრია პრთენამდის და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვიროებიც აქაურია და ბზეც. მსეც გახლავს ნაყოფი პატარა ჩინოვნიკის გონებისა ..

ახალ აღებულს ქვეჩებს ელირსათ მაღალი სტუმარის მიღება ე. ი. ბ. შერემეტიევისა. ივლისის 14 იგი მობძანდა არღანში, 15-ს ბ. მაზრის უფროსმა მიიღო იგი თავის მილიციით, ბაირალით, დროშათი ძინწოთამარაში (არღანის მაზრაშია, პრთენილი ოთხმოცი ვერსია). იმავე დღეს ბ. შერემეტიევი მობძანდა არღანში, სადაც დაუხვდა ხალხი პურმარილით. მათ ღამეს დარჩა არღანში. მეორე დღეს გაემგზავრა პრთენისკენ; ერთი ღამეც დარჩა პრთენში და ბათუმისკენ წაბძანდა.

ქოველიფერი რიგზე დაუხვდა, როგორც თვითონ გამოუთქვამს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არც ერთი თხოვნა არ მისცა მას ხალხმა. რას მივაწეროთ ეს მოვლენა? ალბად ჩვენს მხარეში ყველანი ბედნიერები არიან, არაფერი სათხოვარი არა აქვთ!..

უკაცრავად, ამის მეტს ვეღარ გავაგებებ ჩემს წერილს, ჯერ იმიტომ, რომ ისე ბედნიერი არა ვარ, რომ საქმე და სათხოვარი არა მქონდეს, მეორე იმიტომ, რომ ლოტოს სათამაშოდ მიძახიან. არ შემოდლიან არ წავიდე. მსეც ერთი ნაყოფია ბრძენთა-გონებისა და საშუალება გართობისა მოწყენილი ხალხისათვის და არ შემოდლიან არ თანაუფერძნო იმის თაყვანის მცემლებს...

მეორე წერილამდის.
ს. ბაკრაძე.
ივლისის 20.
დ. არღანში.

დავა შუა აზიაში

◆◆ ინგლისის საზოგადოებათა პალატაში ბაასი ჰქონდათ სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტზე და სამხედრო მინისტრმა სმიტმა გამოსთქვა, რომ მმართველობა არ აპრობს ჯარების რიცხვის მომატებას, თუ ისეთი გარემოებები არ წარმოსდგა, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ, როცა შემოტანილი იქნა კანონპროექტი შესახებ 11 მილიონის კრედიტისა. შემდეგ მინისტრმა სთქვა: „მმართველობა ავლანის საქმეზე იმაზე მეტს არას მოითხოვს, რასაც წინანდელი კაბინეთი თხოულობდა, მაგრამ მან უნდა აღასრულოს ის დაპირებანი, რომელნიც ემირისათვის მიუტია, აგრეთვე უნდა განეგრძოს მომზადება, მანამ არ მივიღებთ პასუხს, რომელსაც მალე მოველოთ.“ შემდეგ ამისა პალატამ მიიღო პროექტი მოთხოვნილი კრედიტისა.

◆◆ როგორც ტელეგრამებიდან სჩანს, გაბჭობა პენჯდესთან მომხდარ შეტაკებაზე ჯერ სრულებით არ მიუტოვებიათ და, როგორც ეტყობა, ეს საქმე ხელახლად იწყება. ლონდონის ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, ვითომ პეტერბურგის კაბინეთი სალისბიურის ისეთ პირობების აღსრულებას მოსთხოვს, რომელთაც ბლადსტონს არა სთხოვდა. სალისბიურის თუმცა გამოაცხადა, რომ ბლადსტონის პოლიტიკას მიეყვებოდა, მაგრამ ამასთან დაუმატა, რომ არამც და არამც არ დაკუთმობ ზოგიერთ პირობებს, რომელნიც აქამდის აბრკოლებდნენ მშვიდობიანად საქმის გათავებას.

ავლანის საქმე ჯერ გათავებული არ არის; ამას გვიტყვიან ისა, რომ მაჰს აქამდის დატუსაღებული ჰყავს ეიუბ-ხანი, ინგლისის მმართველობის თხოვნით. ახმედ-ეიუბ - ხანს კარგად ესმის, რომ ინგლისია ამის დატუსაღების მიზეზი, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავს, რომ ოდესმე თავის განთქმული პაპის დოსტ-მაჰმადის ტახტზე ავა. ის დარწმუნებული არის, რომ რუსეთისა და ინგლისის შუა შეტაკება მოხდება ავლანისტანის თაობაზე. მინც უნდა გაიმარჯოს, ავლანისტანს გამარჯვებული მხარე უთუოდ ჩაჰყლაპავსო.

◆◆ სულანის სძმმ. ძაირიდან ხმები ისმის, ვითომ მაჰდი მომკვდარიყო. ინგლისისთვის, რასაკვირველია ეს დიდა ბედნიერება იქნებოდა, რადგანაც თუ ცრუ-წინასწარმეტყველი მართლა მოკვდა, იმ ჯარში, რომელიც ეხლა იმას მაგრა უჭირავს ხელში, უთუოდ არეულობა მოხდება და დაიშლება; ამასთან ყოველ ამ გვარსარწმუნოებით — პოლიტიკურ მოძრაობას, როგორც გამოიწვია მაჰდიმ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, როცა კარგი მოთაური ჰყავს. მს უკანასკნელი თუ აღარ ეყოლებათ, მოძრაობასაც ბოლო ედება. მაჰდის სიკვდილი რომ მართალი იყოს ახალ კაბინეთს, რასაკვირველია, ძლიერ უნდა გაუხარდეს. ამისთანა მოწინააღმდეგის სიკვდილი გამარჯვებას უდრის ინგლისელებისათვის.

სამართავლოს მხარხოსნის მაღალ-ყოვლად უსაგლვდლომის არამ-პინსოკოზის პავლს მოწოდება

მეთოსე საუფუნემა, როდესაც ქრისტიანობა აღიარებულ იყო ქვეყანაზე უმთავრეს რელიგიათ, იგი დასურგულ იქმნა საქართველოში წმიდა ნინო განმანათლებლისაგან. მაგრამ საქართველოს ხალხის და საქართველოს ეკლესიის გარეგანი ბედი სამიმო იყო განგებას ხეზავდა, რომ ჯვარი, სადგომელი სამიწველად საქართველოს ეკლესიისა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისა, უფილიყო აგრეთვე ზომით მისი (ეკლესიის) აღმშენებლისა ქრისტეს სარწმუნოებაში და მოწამეობითა გვირგვინად; წილ-ხდომილს

ღვთის-მშობლისას, საქართველოს ეკლესიის გზა კრგო თავის სვედრად. მხოლოდ დიდებული მეფობა სასულჯანი თამარისა იყო მთლად ბედნიერ დროთ საქართველოსთვის; დავით და ჯუარსაბ აღმაშენებელი და ზოგიერთი სხვა პირნი ძლივს ასწრებდნენ მოქმედებათ სამშობლოსთვის მტკრთავს მოყენებულნი წყლულებანი. მტრები სამ საქართველოს ურაცხვი ჰყავდა, მთგან მოვლენილ უბედურებათ რიცხვი არ ჰქონდა. აზიის ყველა მეომარი ხალხნი და მძვინვარე დაშურბონი ზირნი ჰბლავდნენ მას თავისი სისხლისა სულით და სტოგებდნენ თავის შემდეგ სისხლის გვალვებს. სპარსელები, არაბები, ხაზარები, თათრები, მონგოლები — ხან ერთი, ხან მეორე — შემოდიოდნენ საქართველოს საზღვრებში, მუსრს ავლებდნენ მის ქალაქებს და სოფლებს, ახერგებდნენ, აოსრებდნენ და ამურტლებდნენ წმ. ტაძრთ, სოფო უბედურ მცხოვრებთ, მეფეთ, ეკლესიის მოძღვართ, უბრალო მორწმუნეთა ავლებდნენ სიღარიბეში, სშირად ჰკლავდნენ შემდეგ მძიმე ტანჯვა-წვალებათა, მრავალი მიჰყავდათ ტყვედ და ჰყიდდნენ მონად. განსაცდელთა წლებში საქართველოს შეიღინი იხსნდნენ საკვირველს სიმამრეს და სიმამრეს ქრისტეს სარწმუნოებაში; არავითარი ტანჯვისა არ ემისოდათ მათ სარწმუნოების ერთგულებისთვის და მოუღინი დასნი გმირთა, რომელთაც თავ-დადებით შესწირეს თავითვისი სიცოცხლე ეკლესიას და სამშობლოს, გამოდიოდნენ ქართველი ხალხიდან. ამ ნაირად მცირე-რიცხვანი ხალხნი არ დაიღუპა თავიანთ მტკრთავსამოსრებულ შემოსევათა და თავ-დასხმათგან. საშინელის აოსრების შემდეგ იგი ისევე სულს იბრუნებდა და იწყებდა კეთილდღეობას. მაგრამ რადგან მოუღს თავის ძალ-ღონეს ალყვად თავის თავის დაცვისათვის გმირულ საქმეებს, — ამიტომ საქართველოს და მასთან საქართველოს ეკლესიასაც არ ჰქონდათ, არც დრო, არც ძალა ფართო შინაგანი განვითარებისათვის; თვით-არსებობისთვის ბრძოლის დროს არ შეიძლება განვითარებულიყო არც მოქალაქება, არც მეცნიერება, არც ღვთისმეტყველებითი აზრი; თვით ძალ-ღონეს, რომელიც ასე საჭირო იყო თავის დაცვისათვის, შემოკლარა სისუსტე საქართველოს უთანხმო ბრძოლაში მრავალ-რიცხოვან მტკრთავს. და საქართველო თავისი ეკლესიითურთ იმულებული შეიქნა ეთნოგრაფიკულად, — და ამ მოვარეულობის ქვეშ დღეს იმაში იხერგება მოქალაქება, გრცელდება განათლება, ედგება სათავე ფართო უფულ — მსრთულს ხალხის განათლებას. მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესები არ შეიძლება და არც შეიძლება დავიწყებულ იქმნენ ამასთან, და იქ, სადაც უფრო მალე ითხოვებოდა განსაკუთრებითი დახმარება მართლმადიდებლობის აღსადგენად და განსამტკიცებლად გავსასიაში, მმართველობისაგან დიდი ხანია ეძლევა ამასთვის დაწესებული შემწეობა. სასულდობრ, ესრეთი დაწინაურება და მნიშვნელობა აქვს უმაღლესად დამტკიცებულს 1860 წ. და ამ წელში სხვა რიგად შეცვლიდეს «მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას პავლსიაში».

მაგრამ ამ საზოგადოებას ჰქონს თავისი მრწამსი საზოგადოების საზოგადოებრივი რიგნი, ოდესმე ქრისტესიანი, — შემდეგ უბედურს ისტორიულს გარემოებათა მეორებით, გამაძვინვარელები, ან უფრო სწორედ ვსთქვათ, — შექმნილი ისეთი საწმუნოებისა, რომელთაც ქრისტიანული, მაჰმადიანური და წარმართული სწავლებლები აწიან ერთმანეთში. იმ ადგილებს, სადაც სტოგებდნენ გავსასიის მოსახლენი, რომელთაც ერთგულად დაუყავსთ მართლმადიდებლობა, საზოგადოება არ აწვდნენ თავიანთს გავლენის და მრწამსის ხელს. მეორე მდიერ საჭიროებს აქ ხალხი წნეობ-რიგ-რელიგიურ დასმარებას! როგორ აუცილებულია აქც მოქმედება ესრედ-წოდებული შინაგანი მისიისა! უწონლობა რელიგიურ ცოდნათა, სხვა-და-სხვა გვარნი ცრუ-მორწმუნეანი, ცუდი წესნი, რომელნიც შენიშნულია ძველადგანვე მართლმადიდებელ ხალხში, ითხოვენ დაუყენებლად ნამდვილს ზომებს მათ მოსახლობლად, როგორც სამკვდელოების მხრით, აგრეთვე ყველა მოღვაწეთაგან ჰქმნარიტი სარწმუნოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კეთილ-დღეობისა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ უკანასკნელ დროს გავსასიაში გამოჩნდნენ მრავალ ცრუ-მორწმუნენი, რომელნიც უფილი ღონის-ძიებით სცდილობენ განაშორონ მართლმადიდებელი მართლმადიდებელს ეკლესიას და დაახან ისინი თავის დამღუპველს ბადაში ღაბინები, ლოტრანტები, ბატისტები, ძალაგები და სხვა მწვალებელი თავიანთ წინამძღოლთა საშუალებით მართვენ გავსასიაში ჰადაგებას, რომ მართლმადიდებელი დაიუფლიონ თავის შემცდარს აზრებს. აუცილებლად საჭიროა ამიტომ ერთ პირი წინააღმდეგობა ყველა მართლმადიდებელთა ამ როგორც ეკლესიურის, აგრეთვე პოლიტიკურის ბოროტებისადმი, ამიტომ რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მტკრთ-მტკრთ აგრეთვე რუსის ხალხისაც, ჰსურსთ დარღვევა არა მარტო მართლმადიდებელი ეკლესიისა, არამედ რუსის ხალხისაც და რუსის სასულეწიფიფიისაც.

უმაღლესად დამტკიცებული «წესდებანი საეკლესიო სამრევლო სკოლებზე», რამდენადაც შესაძლებელია მათი არსებაში მოყვანა საქართველოს საქრისტიანო-ში, — სსიან პირ-და-პირს გზას სასულიერო-განმანათლებელი მოქმედებისთვის ამ მხარის მართლმადიდებელ მცხოვრებლებში. მაგრამ რაღა თქმა უნდა, ყოველ-გვარი გამდიერება მმართველობის კეთილ-დაწყებათა და მრავალნი ზომანი, მომართულნი მათ (დაწყებათ) უფრო დრმად იყვის მოსადგმელად ხალხის ცხოვრებაში საქართველოს მართლმადიდებელ მცხოვრებთ შორის, — სასურველი და აუცილებლად საჭირონი არიან. აი უმთავრესნი ამ გვარ ზომათაგან: ღვთის მსახურებითი საეკლესიო და სხვა რელიგიურ წნეობრივი საზოგადო კონსენი, ანუ საუბარნი, სადმთო წიგნთა გავრცელება და აგრეთვე გამოცემა და გავრცელება ამ მხარის მართლმადიდებელს ხალხში საყოველთაო გასავლს ოსხულებათა რელიგიურ-წნეობითი შინაგანით რუსულ და ქართულ ენებსად და წმიდა მსატიკრებათა ანუ სურათთა, გასსნა საეკ-

ლკია სანტელა წიგნთ-საცავთ და წიგნის მალახიათ და სხვ.

მსურდა რა მიმართოს ეს წიგნები ამ მხარის მართლ-მადიდებელ მსოფლიოთ რაც შეიძლება უმეტესი სარგებლობისადმი და იმავე დროს მიმეცა მათთვის უმეტესი განსჯილობა და სიმტკიცე მათი გამოყენების დროს საქმეში, — მე გადავწყვიტე დაარსება „საქართველოს საექსპორტის მართლ-მადიდებელის ძმობისა“ ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის, საქართველოს სსელით, იმ იმედით, რომ ამ გვარად გამოიქვიათ სასულიერო განათლების შემსრულებელნი ცხოველის მონაწილეობისადმი ამ გვარს მკითხვას და ღვთის სასიამოვნო საქმეში და შემსრულებელნი ურთოდ მათი მოსწრებადნი და მკვდილობადნი ამ საზარეზო დაარსებულნი ვარ, რომ ყველანი, რომელთაც გულისხმობდა დასალოკებული აქვს მართლ-მადიდებელი ეკლესიის და სხვისი წესობრივი რელიგიურის განათლების ინტერესები თანაგრძობით სმას მოგვცენ ამ მონაწილეობას და აღმოჩენენ „საქართველოს საექსპორტის მართლ-მადიდებელს ძმობას“ თავის შემდგომ დაგვარ შემსრულებელს ვინაღვის შრომით ანუ ნივთიერის შემსრულებლობით.

შემსრულებელი ან განსჯადება ეტყვიანს მშობის თავს მუდამ რეს თბილისის სასულიერო სემინარიის მამარქიტონს, დეკანოზს პავლე ივანეს ძეს ჩუქავის.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის საავტოტოსი“ ივლისის 10-ს.

ხანიშონი. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ტრანკინში ვადეგ გამოჩნდენ დაიარაღებული ბრბობა. მიღებულ აქმნა საშუალება, რომ ეს ბრბობა განეუღ აქმნან და არ შეუერთდენ ჯარებს ანამის რეგენტის ტუიკტისას, რომელად ჯერ ვადეგ ჩრდილოეთის ანამშია.

ბაშტიანი. გუშინ აქ მოვიდა ამჟერატორი ვიდეკლში.

ლონდონი. ჩერჩილმა სთქვა საზოგადოებათ პალატაში, რომ ტყუილია, ვითომ რუსეთს აღეთქვას ზუღფივარის დათმობა ავღანისათვის, თუ მას მერუჩავს დაუთმობენ.

მირი. გენერალი გრენფილი იტყვინება ტელეგრაფით აუჯანდამ, რომ გაბრადამ მასულემა გვარბობეს, ვითომ მანდი ევგვილით მომკვდარეოსა.

ბირჟა

შეტვრბურგა ივლისის 9.

100 მანათის ვურსი სამის	
თვით ლონდონზე	— 23 ¹³ / ₁₆ 23 ³¹ / ₃₂ 23 ¹³ / ₁₆
100 მანათის ვურსი სამის	
თვით ჰამბურგზე	— 203 203 ¹ / ₄
100 მან. ვურსი სამის	
თვით პარიზე	— 250 ¹ / ₂ 251 ¹ / ₂ 250 ³ / ₄
პოლონიმპერიოლები	— 8 მ. 27 კ. გაუ.
ტამოუნის ვურსი	— 8 მ. 26 კ. გაუ.

ვეცხლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 5 ³ / ₄ და 6 ³ / ₄ %
5% ბილეტები სასემ-წიფო ბანკისა	100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — 99 მ. 12 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 37 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 მ. 62 კ. გაუ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 12 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. —	— 97 ¹ / ₂ მ. გაუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. —	— 95 ¹ / ₄ მ. გაუ.
მეორე გამოც. —	— 95 ¹ / ₄ მ. გაუ.
მესამე გამოც. —	— 95 მ. 37 კ. გაუ.
5% მომგები ბილეტები I შინაგანის სესხისა	— 217 ³ / ₄ მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები II შინაგანის სესხისა	— 212 ³ / ₄ მ. გაუ.
ოქროს რენტი —	— 171 მ. 62 კ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ვურცლები —	—
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ვურც.	—

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებენ დღის 8 საათიდან 12 საათამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი — 8 საათიდან 9 საათამდე; სპეხიო, საქალო და სხვა შუა ავადმყოფობის; საწამლებად ბენკლევსკი — 10—11 საათამდე — საჩირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბელისა და ყურის ტკივილის საწამლებად; შტემბოლსკი — 11—12 საათამდე სიფილისისა და სხუელსე გამოყოფილი მუწუგების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პრასკევიჩი 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებად; კრასნოვლიადოვი ორშაბათობით და პრასკევიჩი 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლკსონი კბელის ტკივილის საწამლებად მიიღებს თავის სასლში ყოველთვის ღირბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

რაინის ვზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით. ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით. ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით. თბილისიდან სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს. სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით.

ბაზანდა
ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობის-თვემდე 1885 წ.
გამომცემი რა შურა —
სეთის ფუკვიცისა — — გირ. 5 კ
აქაუ რის ფუკვიცისა: ში —
ველას ხარისხისა — — 1 გ. 2¹/₂
ქორისა — — 1 გ. 2 კ

იმევე ფ ვილიის თორსკი გამ-ბ

ცხვარი:

პირველი ხარისხის	— 1 გ. 4 ¹ / ₂
მეორისა —	— 1 გ. 3 კ.
მესამისა —	— 1 გ. 2 ¹ / ₂

ჯვარის-მამის ზური:

პირველის ხარისხისა	1 გ. 4 ¹ / ₂
მეორის ხარისხისა	1 გ. 3 ¹ / ₂
მესამისა —	— 1 გ. 3 კ.

ქროსის ხორცი:

პირველის ხარისხისა	— 1 გ. 7 კ.
მეორისა —	— 1 გ. 6 კ.
სუკი —	— 1 გ. 14 კ.
ცხვარის ხორცი —	— 1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა	1 გ.
მეორისა —	— 1 — გ.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში და ქუთაისის წიგნების მალაზიებში, დიდი ქათალიკოსის

ანტონ პირველის ვრცელი

ქართული ღრამატიკა

ალექსანდრე ებისკოპოზის თაობა-ნობით და საუხით, მხედველობასა ქვეშე თ. რაფაელ მრისთავისა. წიგნი შეიცავს საბეჭდავი 19 თაბახს დიდი ფორმატისას და იყიდება 1 მან. 50 კაბ. (3—1)

ახალ გეგმულეთა

თ. ა. ი. ჯანდიერის და ამს.

ღვინის სარდაფში

ისყიდება კარგად შენახული ნამდვილი ღვინოები ძახეთის საუკეთესო ზერებისა; ამასთან თათრი და წითელი ღვინო სოფ. პანამინისა — თ. ა. ჯანდიერისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ერთბაშად. სოფლაჯი, სერგიევის ქუჩა, № 2. (10—8)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს

მინაიდგან 1885 წ. ენციკისთვიდგან ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ყველა პარალელური განყოფილებაში იქმნებთან სამეგრელოში, ძველს სენაკში, ამიტომ მოსწავლენი მესამე და მეოთხე განყოფილება-თა, რომელნიც სამეგრელოდგან არიან,

პირველს ენციკისთვეს უნდა გამოცხადდენ სასწავლებელნი ძველს სენაკში, რადგან ისინი ძველია სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არიან გადაყვანილნი. მისაც ხელ ახალი ეგზამენი იქმნება, ის უნდა გამოცხადდეს უფრო ადრე 25 აგვისტოდგან პირველს ენციკისთვემდის.

აი სია იმ მოსწავლეთა, რომელნიც გადმოყვანილნი არიან ძველს სენაკში:

- 1) ბაბუნია ირაკლი
- 2) ბაბუნია სევერიანე
- 3) ღვეტუაძე პალოლისტრატი
- 4) იოსელიანი იასონი
- 5) იოსელიანი მელიტონი
- 6) პიჭორია არსენი
- 7) პორძია მლადიმერი
- 8) ლოლუა სპირიდონი
- 9) ლოლუა ესტატი
- 10) ლოლუა ივანე
- 11) მელია ღვეითი
- 12) ნანეიშვილი ბიქტორი
- 13) რეია ღვეითი
- 14) ჩიქვანი მრმალოზი
- 15) ჩიქვანი ბიორგი
- 16) ალშიბაია ბიორგი
- 17) ბაბუნია სილოვანი
- 18) ბაბუნია ნესტორი
- 19) ბაბუნია ღვიომიდე
- 20) პორძია იასონი
- 21) ნაჭყვია მლადიმერი
- 22) ჩიქვანი ნესტორი
- 23) ძავთარიძე ისაკი.

(3—2)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურბაიებთან ვეფხის-ტყაოსანსე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეს-ლავე შემოიტანონ ფული ან სრულად, ან ნაწილ-ნაწილ „ღროების“ რედაქციაში. შანი სურათებიანი მეფხის-ტყაოსნისა, იქნება რამ მანათი-დამ ათი მანათიამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანცია-ვე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაში-ვე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემული გ. ქართველიშვიდი. (25—23)

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

უოკოლადი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ს. სიუ და კო.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

(II. 2542).

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

(46—21)

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX